საქართველოს მთავრობის

დადგენილება №287

2021 წლის 16 ივნისი

ქ. თბილისი

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე, 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებისა და „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №587 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №71.62.58.559, №71.62.58.057, №71.62.58.056, №71.62.58.053, №71.62.58.667, №71.62.58.394, №71.62.58.393, №71.62.58.392, №71.35.47.083) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**